საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-18/1133
24/03/2026

1133-18-2-202603241015

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს,
ელ. ფოსტა: nikol[redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენ მიერ 2026 წლის 14 მარტს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაგზავნილ შეტყობინებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ამდენად, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საბანკო დაწესებულებების მიერ პირებისთვის საბანკო ანგარიშ(ებ)ის გახსნის და მათი შემდგომი მომსახურების პირობები, მათ შორის, გარკვეული ცნობის საფასური მხარეთა შორის შეთანხმების საგანია. აქვე, მოგახსენებთ, რომ საბანკო ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებულ გარკვეულ ცნობებზე ფასები საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული არ გახლავთ.

დამატებით, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - „წესი”) მე-3 მუხლის მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მას მოქმედ ანგარიშებზე დაუყოვნებლივ, ხოლო დახურულ ანგარიშებზე ფინანსური ორგანიზაციის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მატერიალურად ან მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სხვა სანდო საშუალებით, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე ანგარიშის, ასევე, საკრედიტო და სადეპოზიტო პროდუქტების თაობაზე დამოწმებული ამონაწერის სახით მინიმუმ თვეში ერთხელ, მოქმედი მიმდინარე ანგარიშისთვის მაქსიმუმ უკანასკნელი ორი წლის, ხოლო დახურული მიმდინარე ანგარიშისთვის დახურვის თარიღამდე მაქსიმუმ ორი წლის ამონაწერის გაცემა უნდა იყოს უფასო. მინიმუმ თვეში ერთხელ, საკრედიტო და სადეპოზიტო პროდუქტებზე შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის ამონაწერის გაცემა უნდა იყოს უფასო. მომხმარებლისათვის მიწოდებული ანგარიშის ამონაწერი უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას: ინფორმაცია ანგარიშიდან თანხის გატანის/გადარიცხვის და ანგარიშზე თანხის შეტანის/ჩარიცხვის თარიღებისა და ოდენობების შესახებ მინიმუმ ბოლო ამონაწერის შემდგომი პერიოდიდან ან მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი პერიოდიდან. გარდა ამისა, ამავე წესის მე-3 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით: „ამ მუხლის მე-18 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, ასევე, ამ წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ინფორმაციის ოფიციალურ ბლანკზე (წინასწარ ამობეჭდილ და სპეციალური აღრიცხვის ტიტულოვან ფურცელზე) განთავსების შემთხვევაში, ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს დააწესოს საკომისიო. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს ინფორმაციის გაცემა შესაბამისი უფასო

ალტერნატივის სახით.“.

აქვე გაცნობებთ, რომ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, იკრძალება მესამე პირებზე საბანკო საიდუმლოების (ნებისმიერი გარიგება, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ინფორმაციას სესხის/კრედიტის შესახებ, გადახდის ოპერაცია, ინფორმაცია ანგარიშზე ნაშთის შესახებ და სხვა) შემცველი ინფორმაციის გაცემა/გამჟღავნება.

აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი არ წარმოადგენს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - „ორგანული კანონი“) რეგლამენტირებულ საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატს და აღნიშნული კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას გაგიწიოთ დახმარება და/ან მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია/განმარტებები. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ თვლით, რომ შესაძლებელია თქვენს მიმართ ადგილი ჰქონდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, აღნიშნულთან მიმართებაში, უნდა დაუკავშირდეთ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურს“, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://pdp.sao.ge/ka.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, ზემოაღნიშნული ორგანული კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას გაგიწიოთ სხვა სახის დახმარება და/ან მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია/განმარტებები.

მხარეთა შორის ნებისმიერი სადავო საკითხის არსებობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს/დავის განმხილველ შესაბამის ორგანოებს.

პატივისცემით,

ლაშა გზირიშვილი

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი